სუბხმელთაშუაზღვიური სემიჰუმიდური მთისწინეთების ლანდშაფტების ანთროპოგენეზი

თამარ მამუკაშვილი
ელ.ფოსტა: tamar.mamukashvili665@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.#3

კაცობრიობისათვის სრულფასოვან ბუნებრივ გარემოს უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა. იგი მეტად შეზღუდულია სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის ვარგისი მიწებით. ამდენად მისთვის მთისწინეთების შესწავლას აქვს არა მხოლოდ მეცნიერულ-თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც და საკვლევი რეგიონის - საქართველოს სუბხმელთაშუაზღვიური სემიჰუმიდური მთისწინეთების ლანდშაფტების ბუნებათსარგებლობის ოპტიმიზაციის საკითხების დამუშავება უშუალო კავშირშია ზემოთაღნიშნულ პრობლემასთან. აქედან გამომდინარე თემა უდაოდ აქტუალურია.

საკვლევ რეგიონში „ანთროპოგენური წნეხი“ მრავალწახნაგოვან სურათს გვაძლევს. იგი მთლიანად მოქცეულია ინტენსიური ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშ. ჩვენს მიერ განისაზღვრა ლანდშაფტებზე ანთროპოგენური ზემოქმედების ფორმები და მასშტაბები სამეურნეო თვალსაზრისით ტერიტორიების პერსპექტიული გამოყენებისათვის; მოვახდინეთ საკვლევ რეგიონში ეკოლოგიურად დაძაბული უბნების გამოვლენა-გამოყოფა და სუბხმელთაშუაზღვიური სემიჰუმიდური მთისწინეთების ლანდშაფტების შეფასება ბუნებათსარგებლობის და გეოეკოლოგიური თვალსაზრისით.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას გარემოს დაცვისა და რაციონალური გამოყენების, სამეურნეო პროექტების შემუშავებისას ბუნებათსარგებლობითი ინფორმაციით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.